ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 110
მაისის 24, შაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 110
მაისის 24, შაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ მაისიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია“
ჰღირს 7 მან. 25 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით--7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით —5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

რედაქციისაგან

ვისაც გაზეთის ფასი სრულად არ შემოუტანია, ვთხოვთ დააჩქარონ ხვედრის ფულის შემოტანა, თორემ ივნისიდან გაზეთის გაგზავნა მოესპობათ. (5—1)

საქალებო ინსტიტუტში
შიფრით კურს-დასრულებულს ქალს ჰსურს წაიყვანოს მოსამზადებლად ბავშვი თავის ოჯახში საგარაკოდ. ადრესი: „ივერიის“ რედაქცია. (1—4)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 1 ივნისს, დილის 10 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია

საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1902 წ. მოქმედებისა.
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა წლიური ანგირიშის შესახებ.
3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავალისა 1903 წლისათვის.
4) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და კანდიდატისა.
5) არჩევანები საზოგადოების ახალის წევრებისა.

25 ამა მაისს

ბანკის ბაღში და თავად-აზნაურობის თეატრში, ქართველთა შორის წ.-კით. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება

სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრითურთ.

ბაზრობა დაიწყობა შუადღის 12 საათიდგან. ბაღში დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა.

ბაღში იქმნება: საბავშვო გასართობი, ბედის ქვევრი, ფოსტა, სიურპრიზები.

შვიდი საათიდან დაუკრავს საზანდარი.

თეატრის ფოიეში:

ცეკვა.

ბაღში შესასვლელი ბილეთი 20 კ. (ბავშვებისათვის 10 კაპ.).

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმეღღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის მუსხელაშვილისა

(გედევანიშვილისეული)

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. ღ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.

გ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

ზრ. ვ. სოგოლევსკი—ღოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ ოთხშ. და შაბათი. 5—6.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი გ. ღ. ნასარიძე.

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. ჩ მანეთამდე. (წ.)

46—8 ტელეფონი № 617

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. საღოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობაბი.

კ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფიბანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საზებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისი

✦ ამას წინად ჩვენს მკითხველებს ვაცნობეთ, რომ ინჟენერს ადრიანოვს თხოვნა შეუტანია კახეთის რკინის გზის კონცესია მე მომეცესო. ამის შესახებ პეტერბურგიდამ გვაცნობებენ, რომ ბ-ს ადრიანოვს უკვე მოულაპარაკნია ფინანსთა მინისტრთან, ს. ი. ვიტესთან, რომელსაც დიდი თანაგრძნობა გამოუცხადებია და დაჰპირებია, რომ კონცესია შენ დაგრჩებაო, რადგანაც როგორც საკციონერო, აგრეთვე საობლიგაციო თანხა უკვე მზათა გქონიათო· ანდრიანოვის პროექტით კახეთის ლიანდაგი იწყება ნავთლუხის სადგურიდგან, გადადის სამგორზე, აქედამ გადასჭრის იორს და გაივლის საგარეჯოს, მახავისა და კაჰრეთის ბოლოზე, მერე სიღნაღს მარჯვნივ შემოუხვევს და მივა საქობოს, აქედამ წავა ლაგოდეხისაკენ და გაჩერდება ზაქათალას. ლიანდაგი იქნება ფართო და არა ვიწრო კვლიანი. სიგრძე გზისა იქნება 250 ვერსამდე. შემოდგომაზე კონცესია დამტკიცდება, მაშინათვე საბოლოვო გამოკვლევა დაიწყობა და მერძის გაზაფხულს შეუდგებიან გზის კეთებას. რადგანაც საჭირო თანხა მზათ არის. ბ-ნს ადრიანოვს იმედი აქვს ერთს წელიწადს, ესე იგი 1904 წლის განმავლობაში ნახევარი გზა გაათავოს და მეორე ნაწილი 1905 წელს დაამთავროს.

✦ ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესმა სამმართველომ განკარგულება მოახდინა, რომ ფოსტის დაწესებულებანი დაკეტილ იყვნენ აღდგომის პირველ დღეს, შობა დღეს, ხელმწიფე იმპერატორისა და მის მეუღლის დღეობას; ახალწლისა, ხარებისა და ვნების კვირის პარასკევსა და შაბათს. ფოსტის მოხელენი ისაქმებენ მხოლოდ დილის 9 საათიდგან 11-მდე. კვირა-უქმე დღეებში საქმიანობა იქნება 8—11 საათამდე. ეს წესი პირველ ივლისიდგან იქნება შემოღებული.

✦ მთავრობას განუზრახავს ფოსტა-ტელეგრაფის განსაკუთრებული სამინისტრო დააწესოს.

✦ 30 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზედ, მთავარ-მართებლის თანაშემწის გენერალ-ლეიტენანტის ა. ა. ფრეზეს სადგურში კრება იქნება საგეოგრაფიო საზოგადოების გამგე კომიტეტის,, რომელიც, სხვათა შორის, გაანაწილებს იმ ფულს, რომელიც წელს ექსკურსიებისათვის არის გადადებული.

✦ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, გუბერნიის ექიმი ქიქოძე და მისი თანაშემწე ექიმი მაჭავარიანი დაათვალიერებენ იმ სახელმწიფო მიწებს, ს. საგარეჯოს ახლო, სადაც რუსების სოფელი უნდა გაშენდეს და 40 კომლი დასახლდეს.

✦ ტფილისის საბალოსნო სასწავლებელში წარსულ წელს 41 შეგირდი ყოფილა; 16 ქართველი, 18 სომეხი, 5 რუსი, 1 თათარი და ერთი ლეკი. სწავლა მხოლოდ სამს შეგირდს დაუმთავრებია. სასწავლებელზე დახარჯულა 16753 მანათი. საოცარია, რომ იმოდენა ბაღს, რომელიც სასწავლებელს უჭირავს მხოლოდ 716 მანათი ჰქონია შემოსავალი, როდესაც თვით შეგირდები მუშაობენ, მასწავლებელთა ხელმძღვანელობით. კერძო ამისთანა ბაღი ტფილისში მთელს სასწავლებელს შეინახავდა, რიგიანად რომ იყოს მოწყობილი და ისეთი მცენარეულობა ითეს-ინერგებოდეს, რომელსაც თავის დროს დიდი გასავალი აქვს.

✦ ტფილისის რეალურ სასწავლებელში მისაღები ეგზამენები იქნება 23 მაისიდგან 8 ივნისამდე. იქვე გამოკიდულია განცხადება, რა დღესა და რომელ კლასის ეგზამენი იქნება.

✦ პროფესორმა ნ. მარრმა შეადგინა და წარუდგინა საიმპერატორო არხეოლოგიურ კომისიას იმის პროექტი, როგორ უნდა აღიბეჭდოს კრებული ქართულ და სომხურ საყურადღებო ნაწარმოებისა ამიერ-კავკასიის ძველს ნაშთებზედ. კომისიამ მოიწონა ეს პროექტი და მიანდო ბ-ნ მარრს ადგილობრივ გამოიკვლიოს ეს ნაწერები, გადასწეროს და შეადგინოს. მარრთან ერთად ჩამოვლენ ტფილისს მისა თანამშრომელნიც ამ საქმეში. აქ მცოდნე და ნასწავლ კაცებთაა თათბირს გამართავენ და მერე შეუდგებიან საქმეს.

✦ უწმინდესის სინოდის განკარგულებით, ტფილისის სიონის ტაძრის სამღვდელოებას 2000 მან. ჯამაგირი ემატება ყოველ წლივ.

✦ გუშინ წაასვენეს გორს ამ პატარა ქალაქში ყველასაგან კარგად ცნობილი და პატიოსან კაცად მიჩნეული გრიგოლ სვიმონის ძე თუთუნაშვილი, სარწმუნოებით სომეხი, ფრიად გულუხვი და ხელგაშლილი. როგორც გორელ სომხებმა საერთოდ, ისე განსვენებულმა სომხური ლაპარაკი არ იცოდა და სამშობლო ენად ქართულს იჩნევდა. ერთ დროს გ. თუთუნაშვილი მოხარჯეთა სტაროსტად და ქალაქის ხმოსნადაც იყო.

✦ რავდენსამე ქალაქის ხმოსანს, 22 მაისს, კერძო მოლაპარაკება ჰქონია, როგორ მოაწყოს ქალაქის საყასბოების საქმე. ხმოსანმა ს. მირზოევმა დაწვრილებით აუწყა ამხანაგებს წარსული წლის ანგარიში, რომლიდგანაცა სჩანს, რომ ქალაქს ზარალი ჰქონია. ზოგი ხმოსანი იმ აზრისა ყოფილა, რომ ქალაქის საყასბოები სრულიად უნდა გაუქმდესო. ბ-ნი მირზოევი-კი ამტკიცებდა, რომ საყასბოების დაკეტვით ყასბები ისარგებლებენ, ფასს ასწევენ და ქალაქი დიდად შეწუხდება. მართალია, შარშან ზარალი იყო, მაგრამ ყოველი ახალი საქმე ამ გვარად იწყებაო. ამხანაგები დაეთანხმნენ და გადასწყვიტეს ხელი შეუწყონ ქალაქის საყასბოებს.

✦ ქალაქის გამგეობა აპირობს მიწის მზომლის თანაშემწე იყოლიოს.

✦ მეფურნეებმა თხოვნა მიართვეს გუბერნატორს ცალკე ამქარი დავიარსოთო, ხოლო გუბერნატორმა უარი უთხრა, მეპურეების ამქარს შეუერთდითო.

✦ ქალაქის მეფარნეები სთხოვენ ქალაქის გამგეობას გვიშუამდგომლეთ, რომ ღამე იარაღის ტარება შეგვეძლოს, რადგანაც ქალაქის განაპირა ქუჩებში (ნაძალადევში, კრწანისში და სხვ.) საშიშია უიარაღოდ სიარული.

✦ ქალაქის მეპურეებისაგან შედგენილი პურის ცხობის წესრიგი გუბერნატორს დაუმტკიცებია.

✦ ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნაკი „ექიმის საუბარი გულის-ხმიერ მკითხველთან“ ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა. წიგნაკში ჯან-მრთელობასა და სხვა-და-სხვა ავადმყოფობაზე არის საუბარი; ბოლოს აწერია რომ ამას შემდეგ დაიბეჭდება კიდევ მეორე წიგნაკი ჭაობის ციების შესახებ. ფასი წიგნაკისა (30 გვერდია) ერთი შაურია. სასიამოვნოა ამისთანა წიგნაკების გავრცელება.

✦ ტფილისის იუნკერთა სასწავლებლის სადგურს გუშინ წინ, საღამოს 9 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა, რომელიც ცეცხლის გამქრობმა რაზმმა ერთის საათის განმავლობაში ჩააქრო. სწრაფად გაჩნდა ტფილისის პოლიცმეისტერი, რომელიც რაზმს განკარგულებას აძლევდა, და მალე მობრძანდა მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე.

მეფე ერეკლე და მისი წერილები.

XII

შაჰნადირს ეგონა, ერთ-ორ თვეზედ ამილახორს გივს დავიმორჩილებო, მაგრამ დუშში ვერ მოუვიდა. ამიტომ დაიბარა ქაიხოსრო ორბელიანი, აბდულა ბეგი და სხ. და უბრძანა: „თეიმურაზი გაიმძღვარეთ გივთან და შემარიგეთო“. თეიმურაზი კახეთიდგან გადმოვიდა მცხეთაში, ქაიხოსრო და აბდულ ბეგიც აქ ამოვიდნენ და აქედგან დაუწყეს გივს ლაპარაკი.

გივმა შემოუთვალა: „შვიდი ათასი ლეკი შინ მიდგა და ვინახამო, ეს ჯარი გამაცალეთ და მაშინ ჩამოვალო“.

გაუგზავნეს მეორედ ეშიკაღაბაში სულხან და დუარსაბ ორბელიანები, მაგრამ არა გამოვიდა-რა.

ამიტომ შაჰნადირმა ახლა თავის ცოლის ძმა გამოგზავნა, ადრიბეჟანის სარდალი ფათალი ხანი დიდის ჯარით. ფათალიხანი მივიდა და ს. მეტეხში ჩამოჰხდა, აქედგან მოციქულები გაუგზავნა გივსა.

გივმა შემოუთვალა—სამ დღეს დამაცალეთ და სწორე პასუხს მოგახსენებთო. ამ სამ დღეში გივმა აი, რა მოახერხა: რაც რამ სომხით-საბარათიანოში ნადავლი ჰქონდათ ლეკებს მოტანილი, დიდ-ძალი ჯარით ეგ ნადავლი დაღისტანში გაისტუმრა და ფათალი ხანს შეუთვალა: „ლეკებს ამდენ-ამდენი ნაშოვარი მიაქვთო, მაგათ წინ დახვდით, ნაშოვარიც ბევრი დაგრჩებათო და მეც ჩამოვალ თქვენთანაო“.

ავი გაბრიყვდა ადრიბეჟანის დადებული სარდალი ფათალი ხანი: ადგა და გამოუდგა ლეკის ჯარს და მოეწია კახეთში, საბადურზედ. შეიქმნა ბრძოლა. გაემარჯვათ ყიზილბაშებს და ბარგი-ბარხანა მთელი ნადავლი სულ დააყრევინეს. მაგრამ გამარჯვებულ ყიზილბაშებს უკანიდგან სხვა დამალული ლეკის ჯარი გამოუხტა ტყიდგან, მიუბრუნდნენ დამარცხებულნიც და ღვთის რისხვა დასცეს ყიზილბაშებს—ნადავლიც ისევ დააყრევინეს და მრავალნიც გასწყვიტეს: თვით სუფრაჯი ჩოლაყაშვილი და ბორჩალოს ხანი მაშინ მოჰკლეს.

ფათალი ხანი შერცხვენილი გამოიქცა. ამანაც რომ მაგდენი ვერა გაარიგა-რა, შაჰნადირმა ახლა თავისიანი ქარიმხანი გამოუგზავნა დიდის ჯარით, იმამყული ხანიც კახეთიდგან მოეშველა ჯარით და ერთად გივს ამილახორზედ გაილაშქრეს.

გივმა რო გაიგო ეს ამბავი, ციხეები დასცალა და სალთი მეთოფეები ჩაუსაფრა აქეთ-იქით გზებში.

შეიქმნა ომი. პირველშივე გამოაქციეს ყიზილბაშები.

ყიზილბაშებმა სამთავისის გალავანი დაიპყრეს და გორს მოვიდნენ. აქედგან ხელ-მეორედ გასწიეს სხვილოს ციხისაკენ, გამართეს საფრები. გალავნები დასცალა გივმა.

გაიმართა ყოველ დღიური ბრძოლა მეციხოვნეთაგან და აქეთ ყიზილბაშთაგან.

მეზარბაზე მაღლა აყენებდა მიზანს და ციხის ქვეითა მაღალი საყარაულო ქონგურები სამ ადლამდე შთანგრევინა ზარბაზნის ტყვიასა დიდითსადამომდე.

გივმა, გმირი ადექსა ბუდაღაშვილი გამოუგზავნა საიდუმლოდ მეზარბაზნეს ოც-და-ათი თუმნით—„ზარბაზანი ციხეს ან ძირში დაუმიზნე, ან მაღლა გადაამცდინეო.

იმ ღამეს ძროხები დააწველინა, მაწოვარ ქალებსაც ზედ დააწველებინა თავისი რძე და ამ რძით აზელილი კირით და ქვიშით იმ ღამეს მოადგმევინა მონგრეული ქვემო საყარაულო 1).

გასჭრა ვერცხლმა: მეორე დღეს ზარბაზნის ტყვია ან ციხის დაბლა კედელს ხვდებოდა, ან მაღლა გადადიოდა 2).

კიდევ ვერა დააკლეს-რა გივსა. ამიტომ შაჰნადირმა იმამყული ხანი გაიწვია და მის მაგიერ უოჯა ხანი გამოგზავნა.

ამ ამბავზედ ყიზილბაშები გამოეშურნენ მხარულად ტფილისისაკენ. ქარიმხანი გორში ავიდა და იქ დადგა.

გივმა გამოუგზავნა აზნაურიშვილები ქერიმხანს—ახლა-კი შევრიგდეთო. იამა ქერიმხანს.

ამასობაში მოვიდა უოჯახანი დიდის იმედებით და სიტკბოებით. გივმა მიაგება თავისი კაცები საჩუქრებით. ხანმაც ნიკოლაოზ კათალიკოზი ნიკოლოზი გაუგზავნა.—„თუ ჩამოხვიდე, არაფერი

---

1) დღესაც თოვლივით თეთრათ გადმოიყურება ეს რძით არეული ვირით მოშენებული საყარაულო.

2) აქა-იქა სხვილოს ციხის დასავლეთის კედლის კლდის ქვეში ამოგლეჯილია ტყვიისაგან; ციხის გადასწორივ, საქოლავის ქედში და ნასაღორალში დღესაც პოულობენ მაშინდელ ზარბაზნის ტყვიებსა.

შენი საზიანო არა გვინდოდეს-რაო“. [3]) გივს დაებარებინა—„აბდულაბეგმა და ვექილ-ვეზირმა მნახონ და სწორე სიტყვას იმათ დავაბარებო“. მივიდნენ. გივმა დაიბარა: „ჩემის შეძლებით მიმსახურონო, ქართლი აოხრებულიაო. მძევლებს მოგცემთო“.

შაჰნადირმა იწყინა მძევლები—თითონ გივი მოვიდეს ჩემთან, თუ ერთგულია ჩემიო. თუ არა მისთან გაასწორეთო.

ამიტომ ხოჯა ხანს მოუშველნენ ერევნისა და დონბოლის ხანები დიდის ჯარით და იორამ ფალავანდისშვილის წინამძღოლობით აიკლეს ამილახვრის შიმდგომი სოფლები სამაჩაბლოში. მაგრამ ბევრს ყიზილბაშს აუტირეს დედა.

შაჰნადირმა უთხახანიც დაიბარა, ქარიმ ხანიც. აბდულაბეგი ხომ წინათვე იყო ჩასული. საუკეთესო ჯარებსა გზავნიდა შაჰნადირი გივის წინააღმდეგ და გოსს ვერ მოსულიყო—გივი რით ვერ დაემორჩილესო.

ახლა აბდულა ბეგს მიანდო ქართლის საქმე. [4]) აბდულაბეგი მოვიდა და თან მოჰყვნენ—თეიმურაზი, თამარი, და ბეგუმი. თამარისთვის ექვსასი თუმანი ჯამაგირი დაენიშნა და კახეთი დაემტკიცებინა. ქართლის ხანად გამოგზავნა ალიყული ხანი [5]) თეიმურაზის სიძე, ქეთევანის ქმარი. აქ საგულისხმოა, რომ თეიმურაზ-ერეკლე აქამდე გივს პირდაპირ არ უშლიდნენ. თამარის გაბრუნების შემდეგ-კი გამოვიდნენ გივის მოპირდაპირედ და თავისი გულის ნადებიც აისრულეს.

ამ ხანში გივი თავისებურად განაგებდა ქართლის საქმეებსა. რაკი ყიზილბაშების ავან-ჩავანი ორბელიანები იყვნენ, გივმა გაუსია მაღაჩი ბელადი და სხვ. ლეკის ჯარი საბარათიშვილოს და აავლებისა ორბელიანთ სოფლები. მაღაჩი მოვიდა სურამში დიდის ნადავლით. ეს ამბები აპრილის ნახევარში იყო, 1743 წ.

ამის გამო ქაიხოსრო სარდალი საბარათაშვილოში გაგზავნეს—წადი შენს ქვეყანას მოუარეო. თითონ ალი ხანი ატენის ბოლოს დადგა, გუფთის მინდორში. მოიტყუა ციციშვილები; ალექსანდრე, დავითი და ოთარი და დაიპატიმრა—თქვენ ამილახვართან მიგაქვთ ჩვენი ამბებიო“. იწყინეს ციციასთ ეს ცილის წამება, და ახლა-კი მართლა მისცეს გივს ციხეები—აბუხალო და მძოვრეთისა, მიც მისი კაცები დააყენეს. თითონ გივი ამ დროს სურამის ციხეში ჩადგა და გარს გალავანი ხელახლა გაამაგრა.

გაუსია გივმა საბარათაშვილოს მაღაჩი ლეკის ჯარით და აიკლეს წვეროსციხე, მწყნეთის ქვაბები, ციხე ქვაბი, სანაირი მანაკერტი და სხვ.

ალიხანი და აბდულაბეგი გორს იდგნენ. აქ მოემგვლა აჯიხანი განჯისა და თეიმურაზი, საერისთოზე ფიქრობდნენ გალაშქრებასა. ჯერ სურამს მიუხდნენ, აახრეს გარემო სოფლები და ისევ გორს ჩამოვიდნენ. გამოუსია გივმა ლეკის ჯარი საციციანოს და ბობნავის თავს ტყეში ჩამოხდნენ აჯიხანმა მოსწია ჯარი; დაიქვეითეს ყიზილბაშებმა. ამ დროს ლეკის თარეში მიეპარათ და ცხენები დასტაცეს და ყიზილბაშის ჯარი პირდია დარჩა. დაერივნენ ლეკები და ამოწყვიტეს ერთიანად. ამ დროს ალიხანს ოთარ ციციშვილი რომ დაჭერილი ჰყვანდა, გაეპარა და ამილახორთან მივიდა, მოუხდა მძოვრეთის ციხეს და თავის სახლის კაცები აიღო—სეხნია, ელენე ბატონიშვილი (ზას ცოლი)....

ამავ დროს თეიმურაზმა შეუჩინა მოადგილეები და დაახოცინა ბეჟან და ოტია არაგვის ერისთავები, არაგვი გაუდგა გივსა. თავის ჯალაბობა ახლა ქსანზე დააყენა უახჩაეთში.

არაგველებმა კაცი გაუგზავნეს თეიმურაზს—მობრძანდი, შენს მეტი ბატონი არ გვინდაო. თეიმურაზი ანანურში ავიდა

შაჰნადირმა რომ გაიგო ერისთვების ამოწყვეტა, ძალიან იამა და თეიმურაზს შემოუთვალა—თუ ქსანსაც დაიჭერ, ორსავ საერისთაოს შენ მოგცემო.

ამიტომ თეიმურაზი ახლა ქსნის ხევლებს შეუხნდა. ამათ უპასუხეს—ეს ამოდენა ლეკის ჯარი შინ გვიდგა, ესენი გაგვაცალეთ და თქვენი ერთგული შეგიქმნებითო.

გივმა გამოუსია ლეკის ჯარი და აჰკვალა აავლებისა, რა-კი გურამიშვილები აქედგან ხელს უმართავდნენ თეიმურაზს. ამის შემდეგ ლეკის თარეშები უფრო ხშირად დაძრწოდნენ საბარათიშვილოში და ღორამდე სცემდნენ. მოდიოდა ახალ-ახალი ლეკის ჯარი გივთან—სხვილოში. გივი გაავთარდა, აიკლო გამდგარი საერისთაო.

აჯი ხანი მუხრანში დაბანაკდა, თეიმურაზიც აქ მოვიდა. მიუხდნენ ახალგორს და ლეკის ნადავლი წამოიღეს, მაგრამ ილტოზის ბოლოს წამოეწივნენ ლეკები, ნადავლიც ისევ წაართვეს და ყიზილბაშებიც ბევრი ამოსწყვიტეს.

გივმა გაგზავნა კაცი შემახაში და მთელი შირვანი და დაღესტანი აუჯანყა ყეენს, ერთი გულხადარა თაიარი დასვეს შაჰზადედ—ეს სპარსეთის ძველი ყეენის მემკვიდრე არისო.

აჯი ხანს თავში სცემა გაუხნდა და განჯასაკენ გაეშურა. შაჰნადირი ამ დროს ბაღდადისკენ იყო.

გივმა აცნობა ეს ამბები ახალციხის ფაშას და არზრუმიდგან დიდი ხაზინა გამოუგზავნეს ლეკების იმ შაჰზადას გასაბატონებლად და შაჰნადირთან საბრძოლველად; გივმა შეიმუშავა ოსის და ჩერქეზის ჯარი [6]) და საბარათაშვილოს გაუსია, აიკლეს ბირთვისი—კუმისი და სხ.

თეიმურაზმა, რაკი ქსნის-ხეველები ნებით ვერ შემოირიგა, გადმოიბირა ლეკები—ახწუხელები, თებელნი და ყირახელნი. დაიბარა ერეკლე კახეთის ჯარით—ანანურში შეიყარნენ. შეუხტნენ ქსნის ხეველებს და ძალით დაიმორჩილეს. გივმა თავის ჯალაბობა სხვილოში გადმოიყვანა და ლეკის თარეში ზედი-ზედ უსევდა საბარათაშვილოს. ამ დროს გივს ჰქონდა გამაგრებული ციხები—სურამისა, კეხვისა, აჩაბეთისა, ცხინვალისა, საქართლისა, ორივე ქალა, სხვილოსისა, წირქოლისა (ქსანზედ).

თეიმურაზ-ერეკლე დიდ ხანს ებრძოდნენ წირქოლის ციხე, მაგრამ ვერა დააკლეს-რა. მასწერა ალი-ხანს და დაიბარა თოფხანა-ჯაბახანით.

დადგა 1744 წ. და ოსმალოს ჯარი ჩამოვიდა ქართლში და მოუშველა ამილახორს. ამ ჯარით გივი აპირობდა თეიმურაზის მიხდომას. მაშინ ერეკლე თუშ-კახით მიუხდა აჩაბეთის ციხეს და გივის მისვლამდე აიღეს. მოვიდა გივიც, შეიქმნა ფიცხელი ომი, მაგრამ ოსმალოს ჯარი მალე გააქციეს კახელებმა. ერეკლე ბატონიშვილს გაჰქონდა და გამოჰქონდა სვე ხმალდახმალ.

გივი ცოტა ხანს ჩამოხდა ცხინვალს, დასცალა ციხე და ხალხი სურამში გაისტუმრა, რაც შენობა იყო სულ დაწვევინა. სურამიდგან ოსმალის ჯარი ახალციხეში წავიდა, რაკი ძალიან ცივი ზამთარი იყო.

---

[3]) ამავე დროს შაჰნადირს დაებარებინა თამარ დედოფალი, აბდულაბეგის ცოლი ბეგუმი და 5 იანვარს 1743 წ. გაემგზავრნენ ისპაანისაკენ, თეიმურაზიც თან გაჰყვა.

[4]) გივსაც ეს უნდოდა. შემდეგ დავინახავთ, რომ აბდულაბეგი გივის მომხრე იყო საიდუმლოდ და თეიმურაზ-ერეკლეს მტრობდა.

[5]) ამისი ძმა იბრეიმი, ძმა შაჰნადირისა, ლეკებმა მოკლეს.

[6]) ბაქარ მეფის დახმარებით, რასაკვირველია, როცა ყაბარდოში და ყიზლარში იმყოფებოდა. როგორც შანშეს ბრძოლა, ისე გივი ამილახორისა—გამოწვეული იყო რუსეთის პოლიტიკით, რომ ყიზილბაშებს დაუძლურებულიყვნენ და მოსაზღვრე ქართველებიც არ გაძლიერებულიყვნენ.

ჩვენებური ამბები

ვეჯინი (სიღნაღის მაზრა). ბევრჯელ უქიათ ვეჯინი თავის მდებარეობით, ციხე ნანგრევებითა და ძველის ტაძრებით—და ბევრჯელაც უძაგებიათ ეს სოფელი, რადგანაც აქ ხშირად ჰხდებოდა ქურდობა ავაზაკობა და ყველანაირი სისაძაგლე. ამ ბოლოს დროს აქ მშვიდობიანობა ჩამოვარდა. ვეჯინში. შეაპყრეს რამდენიმე ყაჩაღი, ციმბირიდგან გამოქცეულები, რომლებიც თავისუფლად ნავარდობდნენ: სად ეკკლესიებს სტეხდნენ, სად მღვდლებს უვარდებოდნენ სახლში და სად მცხოვრებს სცარცვავდნენ. აქამდის თუ ვეჯინელებს აბრალებდნენ ახლა-კი მიჰხვდნენ, რომ სხვები ყოფილან. თუმცა ავაზაკები შეიპყრეს, მაინც სოფლელები სიფრთხილეში არიან, ღამით ყარაულობენ.

ზოგიერთ სოფელში სკოლა ერთიც არა აქვთო, ვეჯინში-კი ორი სკოლაა, ერთი სამინისტრო და ერთიც სამრევლო სკოლა. თუმცა სამრევლო სკოლა დიდიხანი არ არის რაც დაარსდა, მაგრამ ამ სკოლის ყმაწვილები დიდად გვასიამოვნებენ და გვასახელებენ ხოლმე თავიანთ მშვენიერის ოთხ ხმაზედ გამართულ გალობითა. ისე მშვენივრათა გალობენ, რომ არა მარტო ჩვენს სოფელში, სხვა სოფელშიაც მიიწვევენ ხოლმე საგალობლადო ქორწილში, მიცვალებულზედ.

მაისის 15 დიდი დღეობა იცის ხოლმე ვეჯინში. ყველა მხრიდგან მლოცავი მოდის. იმართება დიდი ვაჭრობა, ქეიფი, ეკკლესიაშიაც მლოცავი ხალხი ისმენს წირვას. წირვაზედ წელსაც გალობდნენ სამრევლო სკოლის ყმაწვილები მღ. თომა ასათიანის ლოტბარობითა. წირვის გათავების დროს იქადაგა მღ. თომა ასათიანმა, რომელმაც მდაბიურად აუხსნა დღეობის მნიშვნელობა ჩააგონა ზოგიერთი მცნება ქრისტესი.

არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ზოგჯელ ამ ეკკლესიაში დღესასწაულის დღეს უწესოება ხდება. არ ისმის, არც მღვდლის სახარების კითხვა და გალობასაც უშლიან ყმაწვილებს. ეს იმიტომ ხდება, რომ ეკკლესიაში აწყალობინებენ ზედაშეს და ზვარებს.

თუ ადგილობრივ მღვდელს არ ესმის, ადგილობრივმა ბლაღოჩინმა მაინც უნდა მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება.

მაისის წვიმები ხშირია ჩვენში, ხან ქარი და სეტყვაც გვესტუმრება ხოლმე. მაინც გლეხებს დიდი იმედი აქვთ კარგის მოსავლისა.

ვეჯინელი.

—

დ, ხონი. მოაწია პარკობამ და შეიქნა ჩარჩ-ბაცაცების ფაცა-ფუცი. ვინ ყალბ სასწორს ამზადებს, რომ უფრო მოხერხებულად მოატყუოს პარკის პატრონი, ვინ ფულს ეძებს პარკის საყიდლად; ვინ დაქნილ მწონავს (რასაკვირველია ქურდობაში) ეძებს და ვინ-კი თავის სამესამედლოდ ან სანახევროდ, დარიგებულ თესლს ადევნებს თვალ-ყურს.

წელს, რადგანაც თესლი ცოტა იყო, ჩარჩ-ბაცაცებმა გაყიდვის მაგივრად საზიაროდ დაარიგეს და თან პირობა ჩამოართვეს, რომ პარკი მათ მოუტანონ სასყიდლად და არა სხვას. რასაკვირველია, ამით სამნაირად ისარგებლებენ: ჯერ ერთი წონაში მოატყუებენ, მერე მაზანდაზე ნაკლებ ჩაიგდებენ ხელში და ბოლოს რაღაც 1 მ. 20 კ.—3 მანეთში (კოლოფის აბრეშუმის თესლის ფასია) მოსავლის მესამედი ან მეოთხედი მიაქვს.

სოფლელმა ამ პარკის გაყიდულ ფულით უნდა დააკმაყოფილოს, თუ მთლად არა, ზოგიერთი ოჯახის მოთხოვნილებანი, გაისტუმროს ვალი ან ფოსტის ფული, ან იყიდოს სიმინდი და აქ-კი საწყალს არაფერი რჩება თითქმის.. ან რა უნდა დარჩეს?

ასე იტანჯება ჩარჩ-ბაცაცებისაგან სოფლელი და მშველელი-კი არსაიდან ჩანს. იმედია, ქუთაისის ამხანაგობა „კოლხიდა“, და „ქუთაისის პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობა“, მედგარ და დაუღალავ ბრძოლას გამოუცხადებენ ჩარჩ-ბაცაცებს.

ხმა დადის პარკის ფასი წელს ძლიერ აიწევსო. ღმერთმაც ქმნას!

Allience.

რუსეთი

საბოლოოდ გადასწყდა, რომ რკინის გზებზე მოსამსახურე პირთ სახელმწიფო სამსახურის უფლებანი მიენიჭოსთ. ეს საკითხი უკვე შემუშავებულია გზათა სამინისტროში.

— 16 მაისს ქ. პეტერბურგის იუბილეის დღეს ბევრი ბავშვები დაბნეულან ქალაქში და ახლა მშობლები ეძებენ იმათ პოლიციის საშუალებით.

— ქ. ვორონეჟში ქალთა გიმნაზიის მე-VIII კლასის საუკეთესო მოწაფემ თავის მოკვლა განიზრახა და მეორე სართულის ფანჯრიდან გადავარდა. ქალი სასიკვდილოდ არ დაშავებულა, მხოლოდ ერთი ფეხი აქვს მოტეხილი და იმედი აქვთ, რომ მალე მორჩება. საბრალო ქალი მასწავლებელმა ქალმა შეურაცხჰყო და თავის მოკვლა ამიტომ განუზრახავს.

— ახლად დაწესდა რკინის გზის ექიმთა კრების ბიურო, რომელსაც შემდეგ საკითხთა შესახებ სტატისტიკური მასალის შეგროვება და შემუშავება დაევალა. სამსახურში ახლ მიღებულთა გაშინჯვა, ზედამხედველობა დაშავებულთა და ავადმყოფთ, აგრეთვე ისეთ ავადმყოფთ, რომელთაც შრომის უნარი დაჰკარგეს. რკინის გზებზე პირველ სამკურნალო დახმარებისა და წამლობისთვის საჭირო მოწყობილების გამართვა; განკერძოებული უბედური შემთხვევანი, რომელთა მიზეზი რკინის გზებზე მუშაობის სპეციალური თვისება შეგროვება და შემუშავება სტატისტიკური ცნობებისა, რომელნიც შეეხებიან რკინის გზებზე მოსამსახურეთა შორის გავრცელებულ სიმთვრალეს და ნერვების ავადმყოფობას.

უცხოეთი

გერმანია. ერთი კვირა კიდევ და არჩევნების ციებ-ცხელება მოედება მთელს გერმანიას. ერთი კვირის შემდეგ ხალხის წარმომადგენელნი ხელ ახლა უნდა განაწილდნენ რეიხსტაგში. გამოსცვლიან ძველ დეპუტატებს, რომლებმაც ამომრჩეველთა იმედები ვერ გაამართლა, აირჩევენ ახლებს, რომლებიც ახალსა და კარგ რამეს უქადიან თავის ამომრჩევლებს, დასტოვებენ ძველებს, რომლებსაც არ უღალატნია თავის ამომრჩეველთა ინტერესებისთვის. აზრი აზრს ხვდება, ინტერესი ინტერეს ეჯახება. ჯგუფი ჯგუფს ეხეთქება, კლასი კლასს უპირდაპირდება. საზოგადოებრივი ძალები აბობოქრდნენ და თავისუფლად იბრძვიან ერთმანეთ შორის. ბრძოლა კლასიური, დაცვა კლასიური ინტერესების,—აი რა ამოძრავებს და ასულდგმულებს ამ ძალებს.

გაიარეთ საღამობით ქალაქის განაპირა ადგილებისაკინ, შეიხედეთ ერთ რომელიმე საარჩევნო ბიუროში, სადაც მოქალაქეთა გვარია გაწოკრული; რა სიცოცხლე! რა გატაცება და აღფრთოვანება! რა თავდადება თავის საქმის სასარგებლოთ! ნუ თუ გატაცება და თავდადება არაა, როცა მთელი კვირის ნამუშავრები, დაქანცულები, ნაცვლად იმისი, რომ მოისვენონ, მთელი დღე დადიან იქით-აქეთ, პარტიის განკარგულებითა და თავოსნობით შედიან სხვა-და-სხვა ოთახებში და სახლებში. არიგებენ პროკლამაციებს თავის კანდიდატების გასათეთრებლად, ამხნევებენ ეჭვიანებს, აჯერებენ და არწმუნებენ ვინც იქით-აქეთ ბორძიკობს და არ იციან ვის ჩაუგდონ თეთრი!

წასულ კვირას მუშათა კომიტეტის მიერ დანიშნულ კრებაზე 5000 ამომრჩეველი მოგროვდა, რომლებმაც არ იცოდნენ ვინ უნდა გაეშავებიათ და ვინ გაეთეთრებიათ. მათ მილიონი პროკლამაცია დაარიგეს სხვა-და-სხვა ადგილას, რომლებიც შემდეგი სიტყვებით ბოლოვდება: „მოქალაქენო, ამხანაგებო! გა-

ფელეტონი

დადები [1])

(სურათი გურიის ცხოვრებიდგან)

— რა ამბავია, ბებიავ, რა ამბავი! არიქა ჩქარა წამოი!... ჩემი თვალით ვნახე... ნენავ, ორკოპეზე [2]) ქის... ღმერთი ნუ გამიწყლება, ბაბავ, კოპიტზე შემოჯდა, ჩვენი ღობის გადაღმა, ჭონქყოიდან [3]) გადმობარდღალდა... [4]) სადაა ჩვენი თოფი, ბაბავ, ყოლი კაცი სროლილობს... გეყურება რავა იძახიან? ეჰე!...

გაწითლებული, აღელვებული შემოვარდა სახლში პატარა ცოცხალი, ათი თუ თერთმეტი წლის ბიჭი და სხაპასხუპით მივარდა სახლში მოფუსფუსე ბებიას, მერმე საჩქაროდ გაჰქანდა ლოგინზე მწოლიარე ავათმყოფ დედისაკენ, საჩქაროდ აკოცა ლოყაზე და მიაშურა მამას, რომლისთვისაც გაეცივებინა და ძიგძიგებდა ცეცხლის პირას.

— თოფი, თოფი, ბაბავ, ვისროლოთ ჩვენც!.

ბავშვის სიტყვებმა ყველას თავზარი დასცა; ყველამ ერთბაშად პირჯვარი გადაიწერეს და ერთის ხმით შესძახეს:

— წმინდაო გიორგი და სამას სამოცდა ხუთო ანგელოზნებო, დაგვიცევით ჩვენ!.. სეიდგან გადმობარდღალდა, ბიჭო, სეიდგან?

— კი, ღმერთი ნუ გამიწყლება, უშველებელია!... ჭაჭვეთს [5]) მივაო... თლა ტიხარაია... [6]).

— ტიხარაი?.. ე, მე რომ გიჩივოდი: ბიჭო, ისროლე თოფი და გადიძახე მეთქი! ტიხარაი! აქანაი არ ჩეიარა გუშინ ტიხარაი კაბით... მაშვინათე ელდა მეცა მარა .. თავი, თავი ხომ გაქ ყველას შებექდული? იკითხა ეგნატეს დედამ და გაუშინჯა თავი ბავშვს, რომელსაც ყურებთან, შუბლთან და კეფაზე თმაზე თაფლის სანთლისაგან გაკეთებული პაწია ჯვრები ჰქონდა მიწებებული.

— კი ამოგვწყვიტა ყველაი და აწი გინდა გადმობარდღალდეს და გინდა ნუ, მე უბედური!.. ტირილით წარმოსთქვა ავათმყოფმა და წამოჯდა ლოგინში შეშინებული.

— ეე მოყვა ახლა...—წამოდგა ცეცხლის პირიდგან ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაღალი, წაბლის ფერი წვერულვაშიანი, ლამაზი, ფერმკრთალი, გამხდარი კაცი და საჩქაროდ წავიდა კედელზე ჩამოკიდული ჩოხისკენ, ჩამოიღო და დაიწყო ჯიბეებში რაღაცის ძებნა. ეს იყო ოჯახის პატრონი ეგნატე ბნელიძე..

— მოყვა ახლა მოთქმას,—განაგრძო მან, —თოფი ისროლეო, რავა, რომ გამაცივა ვერ დეინახე? რა ვიცოდი ახლა თუ მაინც და მაინც ჩვენ მოგვაგნებდა და გადმობარდღალდებოდა. ბიჭო, კიმოთავ, გამეიტანე თოფია ახორში მიყუდებული, არიქა ჩქარა!—მიაძახა მან შვილს, რომელიც ბებიასთან ერთად გაცხარებით ეძებდნენ რაღაცას კუთხეში მდგარ წითელ ზანდუკში.

— ეკა აქანაი ზადუკის ყურში კაჟი და აბედი მქონდა და, ხომ არ გინახავს; ვეძებ აგერ და აღარ იქნა ნახვა.

— რათ გინდა კაჟი, ვოჯო, რათ, ერთი მითხარი?—შეეკითხა ეგნატე დედას.

— რავა რათ, მინდა, თოფიზა მინდა, თოფიზა!

— თოფიზა!—გამოაჯავრა ეგნატემ.—თოფი ჩახმახიანია.

— რავა, ჩახმახიანს არ უნდა კაჟი თუ?

— დაბერდი და მაი აღარ იცი?.. შენ, ერთი ეზალაი მონახე, მგონი აღარც-კია, აქანაი მქონდა ქილაში და რომ აღარაა?

— ამისთანა დღეიზა ყორიფელი მოხაზირებული უნდა გქონდეს.

— ეე, დეიწყო, დაწოლილიზა ადვილი სათქმელია...—ეგნატე ცუდ გუნებაზე იყო და ჯავრი მოსდიოდა.

— ბიჭო, კიმოთავ, ველარ გამიტიე ამდოხანს, აწე ქე წავა ჭაჭვეთს და მერე უყარე კაკალი.

— ვერ ვნახე, ბაბავ, ვერა. სადაა?

— ეგება, ჩავარდა სადმე ბოგაში. ზენა კუთხეში, მონახე, შენ უბედურო, თავსლაფდასხმულო!

— ნუ იწყევლები ამ შეცვა ღამეს, რა დაგემართა!

— შენ მაქანაი დიეტიე!—შეუტია ცოლს ეგნატემ.

— აჰა, ბაბავ, აჰა ვნახე!—მოარბენინა ბავშმა ერთლულიანი დაჟანგებული თოფი.

— აჰა ეზალაი!—მიაწოდა ეგნატეს დედამ ეზალი.

ეგნატე მივიდა ისევ ცეცხლთან, გაითბო გაციებული ხელები, საჩქაროთ დააწყო თოფის წამალი და ჩაყარა თოფში.

— გეზი, ბიჭო, გეზი რომ არაა, გეიქეცი, ბიჭო, ელანძე მოსტეხე თხილზე მარჯვე შოლტი; ნენავ ქაღალდის ნაგლეჯაი გექნება საცხა.

ბებერი გაიქცა ზანდუკისაკენ და დაიწყო შიგ ძებნა.

— რომ არაა, რაღი ვქნა ახლა! ეკა, შენ იცი, ეგება?

— თუ არაა და ამდონს-კი აღარ მოგიცდის იქინეი.

— აჰა ბაბავ თხილის შოლტი! გამოარბენინა კიმოთემ შოლტი·

— თავი ველარ წუუთალე შენ გლახავ!—მამა-შვილი ორივენი გაქანდნენ დანის მოსანახავად.—გეიწიე ახლა იქით.—შეუტია ეგნატემ შვილს,—დანასაც, რომ ველარ ნახავს კაცი, რეიქნა აქანაი იყო.

— ბატონო, ქაღალდი ლეებს ქვეშ იქნება, რომ ამოყარე ყორიფელი ზანდუკიდან.

— თუ ამოვყარე, ქე ჩეიყრება ისევ შით. თუ იცოდი ამდოხანს ვერ თქვი?.. აფერი არაა ლებს ქვეშ...

— რავა არაა, ოჯო. მეიცაი ავდგები ისევლე მე.

— რა ქენით ქაღალდი, რაი?

რგორც იყო შეაგროვეს საჭირო მასალები. „ეგნატემ სწრაფად გატენა თოფი, მოიხვია თავზე ყაბალახი და საჩქაროთ გამოვიდა გარედ. თან მოსდევდა კიმოთეც.

— აქეთ, ბაბავ, აქეთ, ღელის პირშია კოპიტზე... ჩემი თვალით ვნახე, ღმერთი ნუ გამიწყლება... წითლად აბრიალებს თვალებს!

— მომიცაით, მომიცაით, მეც წამუა, მილაძახა იმაი მოხუცებულმა და ამოიწია კაბა.

— ჯერ ვისრი აქანაი და გადვიძახებ, მაცალეთ პაწაი.

— ბატონო, მომიცაი, მეც წამუალ.

— სული კბილით გიკავია და სად უნდა წამოხვიდე შენ, უბედურო,—მარა აბა მალე, მალე გადიცვი ნაკაბევი.

ავათმყოფი ადგა საშინელის კრუსუნით და ხველით და გამოჰყვა ქმარს და დედამთილს.

ეგნატემ ამ დროს ისროლა თოფი და ხმა ჩახლეჩილად დაიწყო ძახილი:

შე-ნი სვი-ი და შე-ენი-ი ქა-ა-მე,
ჩე-ემ-სას ჯვა-ა-რი დამი-ი-ი-წე-რე!

ყვიროდა კიმოთეც წვრილის ბავშურის ხმით რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ყოველის მხრიდგან ისმოდა ძახილი, შე-ე-ნი სვი შე-ენი ქა-ა-მე ჩემსას ჯვა-ა რი და-ა-მი-ი-ი-წერე!-ო და თოფების სროლა.

— ბაბავ უყურე, უყურე, ტყვიამ რავა გეიზუზუნა! მაი ანთიმოსაის ბერდენაია, მარა წამოი, წამოი, ზაკვაი დევიჭიროთ.

— ბიჭო, გეიქეცი, ანთიმოსას დუუძახე, ბერდენაი წამეიღოს, ეგება ტყვიამ ისაქმოს, ესტატესაც დუუძახე, ყარამანასთან აგერ მე მივირბენ.

— ნინოს შევატყობიოთ, ბატონო, ლოცვა იცის.

— ვაი, კალამ არ დამავიწყდა, ელისაბედასაც, ლოცვა იმისანაი რავა იქნება.

არ გასულა ხუთი წამი, რომ ოცამდის ქალი, მამაკაცი და ბავშვები შეგროვდნენ და ჟივილ-ხივილით გაუდგნენ ღობეს გადაღმა კოპიტზე შემოჯდარ, ჭაჭვეთს მიმავალ, ორკოპეზე გადამჯდარ ზაკვაის მოსაკლავად, მაგრამ რამდენადაც უახლოვდებოდნენ კოპიტს ხალხი უფრო წყნარდებოდა.

ბინდდებოდა... მშვენიერი მყუდრო საღამო იყო; გრილი, ნელი ნიავი, რაღაც იდუ-

---

*) გურიაში არის ზეპირ გადმოცემა: ძველად რადგანაც პირველ ენკენისთვეს იწყებოდა (დგებოდა) ახალ წელიწადი, ამიტომ ამ დღეს დაერქვა დადები.

დადებს, როგორათაც ეხლა ჩვენ ახალ წელიწადს, უწინდელი ხალხი ცდილობდა ერთად გაეტარებინა დრო და ემხიარულნათ მეგობრებთან. რასაკვირველია, ამ დღეს კუდიანებიც (მზაკვავები და როკაპები) იკრიბებოდნენ ერთ დანიშნულ ადგილას, ჭაჭვეთს, თავის მეგობრებ-ეშმაკებთან ერთად და საშინელ გარყვნილებაში და უმსგავს მხიარულებაში ატარებდნენ დროს. ყველაზე უფროსი და მბრძანებელი იმათი ტარტაროზია: ის აძლევს ამ დღეს ყველა კუდიანს დარიგებას, როგორ მოიქცეს შემდეგში და აჯილდოებს კიდევაც დიდი ფრჩხილებით, გრძელი კუდით, რქებით და სხ. კუდიანებისთვის ახალი წელიწადი ეხლაც 1 ენკენისთვეს იწყება და ამ საღამოს ყველა მიისწრაფის ჭაჭვეთს. ხალხი ყველა დარწმუნებულია, რომ ვის ეზოშიაც გაივლის ამ დღეს კუდიანი, იმ ოჯახს დიდ ზიანს მიაყენებს და ამიტომ აშინებენ მას თოფის სროლით, შეძახებით და ლოცვით. ყველა ცდილობს დაიცვას თავის ოჯახი.

**) ორ ტარიანი კოპე (ხრიკი), ქვევრის რეცხის დროს ხმარობენ.

[3]) ჭონქყო—ჭაობი

[4]) გადმოფრინდა.

[6]) ნაცრის ფერი—შავით აჭრელებული.

ხსოვდეთ, რომ იმ თავისუფლებასაც დაჰკარგავთ, რომელიც შეგიძენიათ, თუ რეიხსტაგში ისეთ კაცებს არ აირჩევთ, რომლებიც ჭეშმარიტად ემსახურებიან საერთო საქმეს და რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ კანონიერება, როცა იქმნება გაიმარჯვებს და გაბატონდება. მეტის მეტი მწუხარება, მეტის მეტი სიღარიბე და უსამართლობა ტრიალებს ჩვენ გარშემო. ვისაც უნდა, რომ ყველაფერი ეს მოსპობილ იქმნას, ჩვენი კანდიდატი უნდა გაათეთროს“.

აი, ბერლინის საკრებულოში საზოგადოებაა მოწვეული. ვეებერთელა დარბაზი ხალხითაა გაჭედილი. ცხრა მეათედი მუშებია, რადგანაც ყრილობა მათ კომიტეტების მიერ არის მოწვეული. ჟურნალისტი ბერგარდი რეფერატს კითხულობს. ის ლაპარაკობს, თუ რა მნიშვნელობა აქვს არჩევნებს, არკვევს კონსერვატორების და თავისუფალ მოაზრეთა პროგრამას. უჩვენებს დამსწრეთ სუსტსა და მავნე ადგილებს პროგრამისას. ის პირადად არ ეხება არც კაპიტალისტებს, არც ამა თუ იმ იუნკერს. ბურჟუაზიას და ფეოდალებს ეხება იმდენად, რამდენადაც ისინი იცავენ მარტო თავიანთ კლასიურ ინტერესებს, რამდენადაც ცდილობენ თავის არსებობა დაიცვან. ორატორმა დაასრულა სიტყვა, ტაშს უკრავენ, იწონებენ. თავმჯდომარე აცხადებს: მოწინააღმდეგეს ნება ეძლევა სიტყვის თქმისა. სრული სიტყვის თავისუფლებაა. წამოდგა „ინტელიგენტი“, ვიღაც გონოხი და ამბობს: „სოციალ-დემოკრატიის ბელადებს რა უფლება აქვთ მუშათა კლასის წარმომადგენლები უწოდონ თავიანთ თავს. აიღეთ თუ გინდათ, თითონ ბერგანდი. ის ჟურნალისტია, რომელიც ვაჭრობს თავის კალმით კაპიტალისტების გაზეთებთან!

მაგრამ ბერგირდს რაღა გაემტყუნება, როცა სოციალ-დემოკრატიის მამამთავრები — ლიბკნეხტი და ბებელი წმინდა ბურჟუებია! ლიბკნეხტი 7,200 მარკას ღებულობდა წლიურად, როგორც Uormärts-ის რედაქტორი; გარდა ამისა გონორარი ეძლეოდა, წერილებიდგან და რეფერატებიდგან აუარებელი ფული შემოსდიოდა. ცხოვრობდა მდიდართა უბანში, სადაც მუშის ჭაჭანებაც-კი არ იყო. მისი ქვრივი დღესაც კარგად ცხოვრობს, არა ნაკლებ პროფესორის, ან რომელიმე ბანკირის ქვრივისა. უბედური ოჯახობა Vorwärts-ის ფიქტიური რედაქტორის, რომელიც მთელი წლეები იჯდა ციხეში ლიბკნეხტის წერილის გამო, დღეს შიმშილით იხოცებაო, აუდიტორია ახმაურდა, აღელდა. ზიზღს უცხადებს და უშლის სიტყვის თქმას ორატორს. „საძაგელი, ფლიდი, ცილის მწამებელი“! ისმის ყოველ კუთხიდან, თავმჯდომარე ზარს არაწკუნებს, სთხოვს საზოგადოებას მოწინააღმდეგეთ ნუ უშლით სიტყვის თქმასო. დარბაზში ისევ მყუდროება და წესიერებაა დამყარებული. ისევ თავისუფალი ლაპარაკი, ისევ თავისუფალი მსჯელობა. გამოდის ტრიბუნაზე მესამე ორატორი და სრულიად არღვევს და აქარწყლებს გონორის ნათქვამს, მის მართლაც რომ ცილის წამებას.

„კონკორდიაში“ თავისუფალ მოაზრეთა და ლიბერალთა კრება იყო დანიშნული. აქ წამოაყენეს კანდიდატად ლენინგი, ყოფილი გამგე სახაზინო პალატისა პოსნანში, რომელიც სამსახურიდან უკანონოდ დაითხოვეს მხოლოდ იმისთვის, რომ მან შეირთო ცოლათ სალდათის ქალი. მწერლობა აყაყანდა და აღელვა მთავრობის ამ გვარმა საქციელმა. საზოგადოება პასუხს თხოვდა მთავრობას: რა უფლება გქონდა ასე უსაბუთოდ ლენინგი სამსახურიდგან გადაგეყენებინაო. ფინანსთა მინისტრმა პოლიტიკური მოსაზრებით იმართლა თავი: ლენინგი წინააღმდეგი იყო პოზნანის გაგერმანელების, ის მხარს უჭერდა პოლონელებს, გერმანიის სახელმწიფოს მტრებსო.

ლენინგი გამოცხადდა კრების წინაშე, ავიდა ტრიბუნაზე. მან სთქვა, რომ არასოდეს თავის პარტიის ინტერესებს არ უღალატებს, და ყოველთვის და ყოველგან ეცდება მოქალაქის უფლებები დაიცვას. შემდეგ შეეხო მთავრობის პოლიტიკას და შემდეგი სიტყვებით დააბოლავა. უმაღლესი ადმინისტრაცია დაბალ მოხელეებს გარყვნილების მეტს არაფერს აჩვევს. განა წარმოსადგენია იმ ქვეყანაში, სადაც კონსტიტუცია არსებობს, ერის ინტერესი მსხვერპლად შეიწიროს მეორე, ძლიერმა ერმა? მთავრობის პოლიტიკა აი ეს არისო“. მაყურებლებმა, რომლებს შორის ინტელიგენტები, ჩინოვნიკები, იურისტები, ექიმები, ვაჭრები და მუშები იყვნენ, შეუწყნარებელი ტაშის კვრით დააჯილდოვეს ლენინგი და მისი კანდიდატურა. ბოლოს ერთი ქალი (მგონი ექიმი) შეეკითხა კანდიდატს: რა თვალით უყურებ დედათა საკითხსაო. „მე ვალდებულად ვრაცხ თავის თავს ვიბრძოლო რეიხსტაგში დედათა უფლებების გაფართოებისთვის, მიენიჭოს მათ მოქალაქობრივი უფლებები, რომ ქალებიც ადამიანებად იქმნან მიღებულნიო. ეს ისეთი აუცილებელი საჭიროებაა, რაზედაც ლაპარაკიც-კი ზედმეტიაო — მიუგო ორატორმა.

ამერიკა. დიდი სამრეწველო ომია ატეხილი შეერთებულ შტატებში, მარტო ნიუიორკში და მის ახლო-მახლო ადგილებში 200,000 მუშაა, რომლებიც გაიფიცნენ და მუშაობაზე ხელი აიღეს. ამბობენ, რომ ასეთ გამწვავებულ სამრეწველო ბრძოლას ჯერ არავის მოსწრებია ამერიკაში.

ნარკვევი

„Крим. Вѣстникъ“-ში დაბეჭდილია გ. გერტვის წერილი, რომლითაც ავტორი სავსებით ახასიათებს თანამედროვე ხანას:

„ჩვენი დრო გაზუმების ხანაა. არსებობს ბრძოლა დაფარული, არა აშკარა. საზოგადოებრივი ძალები ეჯახებიან და ეხეთქებიან ერთმანეთს. ყველაფერი, რაიც-კი საზოგადოებამ მოიწონა და საჭიროდ დაინახა, საიდუმლოდ და ფარულად კეთდება. თვითმმართველობაშიაც გამეფდა აზრის დამალვა. საჭირ-ბოროტო საქმეები ჯერ ცალკე ირჩევა, მერე თუ საჭიროდ დაინახავენ, საზოგადო კრებაზედაც გამოიტანებენ.

უდიდო უმცირესობა, რომელსაც ნიადაგი გამოცლია ფეხ ქვეშ, საზოგადოებრივ საქმეებში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს, მან დაჰკარგა უნარი და ძალა საზოგადო საქმეს გაბედულად წინ წაუძღვეს. საქმე-კი ბორძიკობს; სინათლის მოტრფიალენი აშკარა საქმეს გაურბიან. სიბნელის მოყვარულებმა აბა რა სინათლე უნდა მოჰფინონ გარშემო წრესა და ცხოვრების მიმდინარეობას!

თერძი ჯერ ზომას იღებს და მერე სჭრის საქონელს ტანისამოსისათვის. საზოგადოებაც ასე უნდა იქცეოდეს: ჯერ უნდა აწონ-დაწონოს თავის მოთხოვნილება და საჭიროებანი, შემდეგ-კი საშუალება უნდა გამონახოს ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. მთავრობა ცდილობს თვითონ საზოგადოება ეცადოს თავის საჭიროებაზე, იზრუნოს და იფიქროს. წარმოიდგინეთ (?) გუბერნატორსაც-კი არა აქვს უფლება ჩაერიოს იმ საქმეში, სადაც სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენლები ღებულობენ მონაწილეობას.

ამ გვარად, დრო და კანონი ერთდებიან და თხოულობენ ყოველგვარი საჭირ-ბოროტო საკითხები ცხოვრებისა ყოველ მხრივად აწონ-დაწონოს და გამოარკვიოს. ამბობენ და თქვენც ხშირად გაიგონებთ: ნამდვილი ადამიანები, ნამდვილი მოღვაწეები ცოტა არისო. სად არიან სად გაიფანტნენ? ისინი გაითქვიფნენ საზოგადო ცხოვრებაში, ზოგიც დაფარულად მოქმედებენ ხალხის და საზოგადოების საკეთილდღეოდ, საიდან წარმოიშვება მეორმოცე და მესამოცე წლების მოღვაწეები? პასუხი ადვილია: ისინი მუდამ იყვნენ და ახლაც არიან, მაგრამ მათში ხან მეტად, ხან ნაკლებ საჭიროებენ. აპათიურობა და დეკადენტობა ყოველგვარ საქმის მტერია, თავხედობა და მეთაურობა სიზარმაცის დროში იბადება და ყველაფერს გულგრილობის და გულცივობის ბეჭედი აზის“.

—

„Правит. Вѣст.“-ში დაბეჭდილია იანინაში რუსეთის კონსულის მოხსენება, 24 აპრილს გამოგზავნილი.

იანინის ვილაიეთის მცხოვრებლები აქამდის არ ეწინააღმდეგებოდნენ შემოღებულ რეფორმებს და არც მოსალოდნელია, რომ ჩრდ.-ალბანიაში მოძრაობას შეუერთდნენ. ჟანდარმერიის რეორგანიზაცია ჯერ არ გათავებულა. გადააყენეს სამსახურიდან ბოროტმოქმედებით ცნობილნი იანინის ვილაიეთის და პრევეზის სანჯაყის ჟანდარმთა უფროსები და 305 ჟანდარმი. იანინის სასამართლოთაა ახალი წევრები შეუდგნენ თანამდებობის ასრულებას. მათ შორის ექვსი მაჰმადიანია, სამი ბერძენი, ორი სომეხი და ერთი ებრაელი. ვილაიეთში თუმცა მშვიდობიანობაა, მაგრამ ხალხი ძრიელ შევიწროებულია ეკონომიურად. მიტროპოლიტმა პარამიდიმ, რომლის ეპარქიაში 25 ათასი ქრისტიანე ითვლება, გამოგზავნა საკონსულოში 950 დამშეულ ოჯახების სია. იანინის მახლობელ სოფლებიდან ყოველ დღეს მოდიან მცხოვრებლები რუსეთის საკონსულოში და იხვეწებიან, გვიშველეთ, შიმშილით ვიხოცებითო.

ნარევი და ნაკვესი

ჰავა წარსულში. ცნობილია, რომ ძველად, ქვეყნად სულ სხვანაირი ჰავა იყო, ვინემც ახლა. გრენლანდიაში, ესრედ წოდებულ მიწის მესამე ხანაში, ისეთი მცენარეები ჰხარობდნენ, რომელთაც ეხლა ზემო იტალიაში შეჰხვდებით. სხვა ადგილები-კი, სადაც ახლა ნაზი ჰავაა, წინად ყინულით იყვნენ მოცულნი.

ჰავის ცვლილების მიზეზს არამც თუ მეცნიერული მნიშვნელობა აქვს, არამედ საზოგადოებრივიც, რადგან ადვილად მოსალოდნელია რომ, ბუნების იმ ძალთა, რომელთა მიზეზით ჩრდილო და შუა ევროპა თოვლითა და ყინულით იყო დაფარული, თუ ხელ-ახლად დაიწყეს მოქმედება, ევროპის კულტურას ძთლად ბოლო მოეღება, მიწასთან გასწორდება.

მეცნიერებს არა ერთხელ უცდიათ გამოერკვიათ ჰავის გამოცვლის მიზეზები, მაგრამ ამაოდ. ამ საგნის გამოკვლევას შეუდგა ამ ჟამად ერთი ბრესლაველი პროფესორი — ფრეხი. ეს პროფესორი თავის დასკვნას შვეციის მეცნიერის არგეულესის თეორიაზედ ამყარებს. როგორც ეს თეორია გვამცნებს ჰაერის ტემპერატურაზედ დიდი გავლენა აქვს იმას, თუ რამდენი ნახშირმბადია ჰაერში. რამდენადაც ნახშირმბადი მეტია ჰაერში, იმდენად უფრო მზის სითბოს იზიდავს და რამდენადაც ჰაერში ნახშირმბადი ცოტაა, იმდენათ სითბო ნაკლებია, თუნდაც ორსავე შემთხვევაში მზე ერთნაირად ათბობდეს, ასე რომ ნახშირმბადი მზის სითბოს უფრო აცხოველებს. ამ ჟამად ჰაერი 0,03% ნახშირმბადს შეიცავს; არგეულესის გამოანგარიშებით, აწინდელ ნახშირმბადის რაოდენობა $^2/_3$ რომ შემცირდეს, — ჩვენის ჰავის ტემპერატურა იკლებს 4—5 გრადუსს ცელსით და თუ ორად ან სამად გადიდდა აწინდელი რაოდენობა ნახშირმბადისა, ტემპერატურა მოიმატებს 8—9 გრადუსს, პოლიარ ქვეყნებშიაც-კი. მაშასადამე, ნახშირმბადის რაოდენობისაგან წარმოსდგება სიცხე-სიცივის შეცვლა. შეიძლება ნახშირმბადმა იმატოს ჰაერში? პროფესორი ფრეხი სხვა მეცნიერებთან ერთად ამბობს, რომ ნახშირმბადი დედამიწის გულში მზადდება და ვულკანების მეოხებით ჰაერს უერთდებაო, მაგრამ ნახშირმბადს ჰაერიდგან სხვა-და-სხვა ქიმიური და გეოლოგიური გარდაქმნანი სწოვენო, აქედგან ის დაასკვნა, რომ, როცა ქვეყნად ვულკანები ხშირია, ნახშირმბადიც ბლომადაა ჰაერში და ჰაერიც უფრო ნაზია.

პროფესორი ფრეხი ამბობს: გეოლოგიურ ხანებში, როცა-კი ვულკანები იშვიათი იყო ტემპერატურა დაბალი იყო, ორჯელ კიდევ პალეოზოინის ხანაში და გეოლოგიურ ხანას დამდეგს ვულკანების მოსპობამ ყინულის ხანა დაამყარაო. ვულკანები კი რომ ხშირდებოდა, ტემპერატურაც მატულობდა; როგორც ფრეხმა გამოიკვლია ქვა ნახშირის საუკუნოებამდის ჰავა თანასწორად ყოფილა განაწილებული; შემდეგ სამხრეთ ქვეყნებში ცოტა ხნობით ყინულის ხანა დადგაო. შემდეგ-კი ისევე გათანასწორდა თბილი ჰავა; ზემო იურსკის ხანიდგან, სახელდობრ ცარცის (МѢЛОВОЙ) საუკუნოებიდგან სულ ახლად განაწილდა ჰავა, მესამე ეპოქის დასაწყისსა და ნახევარში ვულკანებმა დაიწყეს მოქმედება და ჰავაც გასუმბუქდა, განაზდა; შემდეგ ტემპერატურამ იკლო და ვულკანები შესწყდა თუ არა, დაიწყო ყინულის ხანა. შემდეგ ისევ იწყო ვულკანებმა მოქმედება და ჰავაც დღეს სუმბუქია.

ფრეხის გამოკვლევის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ნათელს ჰფენს და ფარდას ჰხდის ამ დიადს საკითხს, რომელიც ამდენს ხანს სიბნელით იყო მოცული.

შემოწირულება

ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნულ ბაზრობისთვის შემოსწირეს:

1. ნაზარბეგოვის მაღაზიამ 3 ფუთი პრიანიკი, 3 ფუთი მარმარელადი, 4 ფუთი კამფეტი.
2. კნ. ნინო გვარიშისამ 1 დუჟინი ხილის დანა-ჩანგალი და პატარა ბავშვის კაბა.
3. ნატალია სიმ. ჩიქუნაძისამ ერთი რედიკიული, 4 ჩაის ჭიქა, 1 ფუთი ჩაის, 1 ბზის სურა.
4. ქ-ნ მირზაშვილისამ პირსახოცი, დამბის დასადგმელი.
5. ილია მიხ. საფაროვმა 4 რედიკიული, 14 პორტმანე, 12 დანის ბუდე.

გორში შეგროვილი ნატო ყარბესაშვილისაგან და კნ. ქეთო ჯავახიშვილისაგან ნივთები.

6. ნატალია ცხოვრებაძისამ ნახევარი დუჟინი ყავის ფინჯანი და 1 დიდი ბროლის ჭიქა.
7. ნადეჟდა კაპანაძემ 2 ყვავილების ვაზა.
8. მარიამ კაპანაძემ პატარა ბავშვის კაბა.
9, ნინო ციცაგმა ალბომი ლექსებისათვის და ქაღალდის პორტფელი.
10, ნესტორ ქერეჟიშვილმა ქალის პერედინა.
11, ივ. ჩიხანიძემ 12 დუჟინი მეტალის ღილი, 4 დუჟინი ყარანდაში და 6 ყელის მძივი.
12, ბარბალე ხაბელაშვილმა 1 წყვილი გარუზის ბაშმაკი და 1 ჩეფჩიკი გარუზისავე ბავშვისათვის.
13, ს. ბეჟანიშვილმა საათის ბუდე და კალმის საწმენდი.
14, იაკობ ბარამიშვილმა 1 წყვილი ფეხსაცმელი.
15, ილიკო კახნიაშვილმა დაირა და 2 სურათის ჩარჩო.
16, ალექსი და ნიკოლოზ ხარატიშვილებმა წყვილი შანდალი.
17, გრიქუროვმა ბროშკა.
18, ვასილ მუჩაძემ 1 დუჟინი საპონი.
19, ი. არჩუაძემ და ს. მასურაძემ 2 საბავშვო სურათებიანი წიგნი, 7 ცალი სხვა-და-სხვა სათამაშო ნივთი და კრასკები.
20, არსენ კალანდაძემ 2 წიგნაკი, სხვა-და-სხვა

მალებით ოდნავ აშრიალებდა ფოთლებს; მთვარე თეთრი პატარა ნამგალივით თითქმის ღიმილით გამოიცქირებოდა ჯერ კიდევ უვარსკვლავო ლურჯ კრიალა ცაზე. შორიდგან ისმოდა ჭოტის ერთნაირი ძახილი.

მამაკაცები მიდიოდნენ წინ, უკან-კი მათ ქალები და ბავშვები მისდევდნენ. ყველაზე წინ გზის მაჩვენებლად მიდიოდა კიმოთე, მას მისდევდა ანთიმოსა „ბერდენაით“ ხელში. კიმოთე შეშინებული სულ განაბული მიდიოდა. ხშირად იხედებოდა უკან და ეწეოდა ახალუხზე ანთიმოსას. ყველას თოფები მომართული ჰქონდათ ხელში და გაჩქარებულნი მიაბიჯებდნენ ფეხებს, მხოლოდ ეგნატე ხანდისხან შესდგებოდა და ხრინწიანის, აკანკალებულის ხმით დაიძახებდა: „შენი სვი და შენი ქამე, ჩემსას ჯვარი დამიწერე“-ო.

— კაი, კაცო, შეაშინებ შენ როკაპს და ქე გაფრინდება! უთხრა მას ესტატემ.

— შენც არ მომიკტე, იგი ჩვენ ვერ წაგვივიდეს ხელიდგან. ყარამანავ, ბიჭო, შენი თოფი გამოცდილია! — მიუბრუნდა ანთიმოსა ყარამანს.

— არა, ბერდანაისანა რეიზა იქნება ჩემი თოფი; ისე არ დევიტრაბახებ და ას ნაბიჯზე ვეფერი გუუძლებს, — სთქვა ყარამანმა და შეატრიალა თავისი თოფი ჰაერში.

— არა, ახლა ვითამ ხოხვაიეა მაი? — იკითხა ერთმა ქალარა მომცრო ტანის კაცმა.

— აბა ვინ იქნება იმის მეტი, ჭონჭყოიდგან გადმობარდღალდაო და იმ კედაროს [7] მის მეტი ვინაა? — მიუგო მას ეგნატემ.

— მაგი უბედური! — განაგრძო ქალარამ, — რა დედაკაცი იყო და სიბერის დროს რა დეიწყო! მე ხუთი წლისვიყავი, მაი რომ მეიყვანეს, დღესავით მახსოვს, მის კალთაში ჩამაგორეს, მთელ სოფელს ეხარბებოდა სეხნიეი ქალამაძის ბედი; ერთ ქალათ მისი ჩუგურის დაკრა და ღიღინი ღირდა, თეთრ ყირმიზი ქალი, ერთ ქალათ მარტუაი მისი თმაი ღირდა. რავა წეიხთინა თავი ამ სიბერის დროს მაგ სულ-წაწყმენდილმა! — გააქნია თავი ქალარამ.

ქალები ჩქარის ნაბიჯით მიეჩქარებოდნენ; ყველა მოელოდა რაღაც არაჩვეულებრივ სანახავს, რომელმაც დათრგუნა მათ გულში შიში, მხოლოდ შეშინებული ბავშვები ეკვროდნენ დედებს კალთებზე. ნინო და ელისაბედი განუწყვეტლად ჩურჩულობდნენ ლოცვებს, მხოლოდ დროთი დრო მოიხედავდნენ და კიდევ უფრო ამხნევებდნენ და ამშვიდებდნენ დანარჩენებს.

— იმისანაი ლოცვაა, რომ თავში თლა ტარაბუას დეუსხამს, თვალებს დეუფსებს და გამუაპენტერებს.

— ოჯო, იმას ანთიმოსაის ბერდენაის ტყვია-კი გამუაპენტერებს, — თქვა ნინოს მომდეურავმა, ანთიმოსას დედამ.

— ვაიმე, ნუ სცოდავ ღმერთს, შენი ჭირიმე! — უთხრა მას ძალზე დასუსტებულმა, ძლივს მიმავალმა ეკამ, — თვარა ახლა რომ გაგვექცეს, თლა ამოგვჟლეტს ყველას. ერთი წელიწადია აგერ ლოგინზე ვაგდივარ. ყამახსაც ერთი წელიწადია აცივებს. მარჩიელთან წევეთრიე გუძლამ და „იმისგან“ ხართ ყველაიო. ბატონი [8] ყრუანთელ ყეერასთან იყო და იმასაც ისე ეთქვა.

— ნენავ, ზაკვავი და როკაპი ქალია თუ კაცი? — დაეკითხა ერთი პატარა ქალი თავის დედას.

— ოი, ქარ-მეხი დიეცა მის თავს, ადამიანათ კი გუუჩენია ღმერთს, მარა ეშმაკს დეუმონებია მისი სული!

— კოპიტი გამოჩნდა, კოპიტი! — გაისმა ხმები. ყველას რაღაც შიშის ჟრუანტელმა დაურბინა ტანში და გაიქცნენ კოპიტისაკენ; კიმოთე იმ წამსვე დედასთან გაჩნდა და მიეკრო მას.

— ბიჭო, არ წამიქციო, შენ უბედურო! — წასჩურჩულა მას ეკამ.

ანთიმოსა, ყარამან, ეგნატე, ესტატე და სხვები მომართული თოფებით გარშემოერტყნენ კოპიტს და დაუწყეს თვალიერება. ქალები და ბავშვები სულ-განაბული შესცქეროდნენ. ამ დროს მოისმა ფოთლების შრიალი და რაღაც დიდი ნაცრის ფერი ფრინველი გადაფრინდა კოპიტიდგან ღელესაკენ, გადაფრინდა რაღაც ზარმაცად, აუჩქარებლად.

— ააა! — შესძახა ერთხმად შემკრთალმა ხალხმა. ყველანი შესდგნენ; თოფები როგორც ეჭირათ, ისე შერჩათ ხელში, თითქოს არაფრის დანახვას არ მოელოდნენ, თითქო სულიერის არსების დანახვასა ფიქრადაც არა ჰქონიათ; სიმამაცე სადღაც გაჰქრა.

— ღმერთო და სამას სამოც-და-ხუთო წმინდაო გიორგი დაგვიცევი!.. მოისმა აკანკალებული ხმები. ბავშვები ღრიალებდნენ. ნინო და ელისაბედი ლოცულობდნენ.

— მართლა ზაკვავი არ ყოფილა კაცო! — სთქვა ერთმა.

— აბა, ის მეგონა თუ ნამდვილათ იქნებოდა!

ყველაზე უწინ გამოერკვია ანთიმოსა.

— ბიჭო, რაფერ გამოვშტერდით ყველაი, მივეწიოთ, მაგერ შეჯდა ღელეს გაღმა ჩქოლაზე.

— წევიდეთ, მივეწიოთ, მივეწიოთ! — ახმაურდნენ ყველანი.

— დიეთხუოთ კაცო, ნამდვილ ზაკვავს თოფი-კი არ მიეკარება! მოისმა ვიღაცას ხმა.

— რა არ მიეკარება, რას ჩივა მაი, შარშან არ იყო, ტარაბუეთს რომ მოკლეს ტურაზე შემჯდარი!

— ჩვენი თვალით ვნახეთ და ახლა გუუშვათ, სირცხვილით სადა გავაჰყვიროთ მერე თვალი.

— ჩქარა კაცო, თვარა აწი დაბნელდება და ქე გაგვექცევა.

— მართლა, ორკოპოზე რომ შემჯდარა მაი ოჯახქორი, დეინახე ეკა? — მიუბრუნდა ცოლს სრულიად გაფითრებული ეგნატე. კოპე ნიკარტსავით აქ და ტარები იქით-აქით გუუწკვერტია ფეხებსავით, მაგ ოხერს... ვაიმე! მირბიან ბიჭები.

მართლაც ცოტა ყოყმანის შემდეგ, ყველანი გამოუდგნენ „ზაკვავს“. ეგნატემაც დააპირა გაქცევა, მაგრამ ეკა სწვდა მკლავში და ჩუმად კანკალით უთხრა:

— მეიცაი ეგნატე, მეიცაი, ნამდვილ როკაპს თოფი არ მოკლავს და მერმე ყველას ამოგვაგდებს, გამოგვახინკილებს თლა. ერთი ბაღანაი გვყავს და არც იგია სასიკეთო... წევიდეთ შინ, შენ და შენი ღმერთი, წევიდეთ.

ეგნატე ერთ წუთს დაფიქრდა.

— არა, არა, საცხა ამდენი კაცი დეიღუპება, მეც დევიღუპო იქინეი! — სთქვა მან, გამოუსხლტა ხელიდან ცოლს და გაიქცა. მირბოდნენ ყველანი: ქალები, ბავშვებიც, მხოლოდ მარტო ეკა წავიდა ნელა, უგუნებოდ, წელმოწყვეტილად; ის დაასუსტა ხველამ და სიარულმა. მის გამხდარ გაყვითლებულ სახეზე უზომო შიში იხატებოდა.

როცა ეგნატემ მიირბინა ღელის პირში, სადაც ცოტა ხანს იდგა შეჭუჩებული ხალხი, იქ აღარავინ დაუხვდა დედა მის გარდა, რომელიც უცდიდა რძალს.

— მაჭანაი იყო ღელეს გაღმა ჩქოლაზე, გადაფრინდა კიდო და ახლა ეგერ კუნტრუცაზე [8] მაღლა შეჯდა ხეზეო, მე ეკას უცდიდე გამევიქცევი.

ეგნატე სწრაფად გადახტა ღელეზე და გაიქცა პატარა გორაკისაკენ, რომელზედაც მოჩანდა რამოდენიმე დაქსაქსული ხალხი: დიდის გაჭირვებით მირბოდნენ გვიმბრიან აღმართში იმ ხეებისაკენ. ცოტა ხნის შემდეგ ყველანი იმ ხეებთან იყვნენ შეჭუჩებული.

გავარდა თოფი, ერთი, მეორე, მესამე. იგრიალა ანთიმოსაის ბერდენამაც; ხალხის გულიდან აღმოხდა რაღაც სიხარულის ყიჟინა, გაისმა ქალების მხიარული წივილ-კივილი, სიცილი.

— მოკტა, მოკტა!

— ჩამუარდა, ბიჭო!

— ანთიმოსამ მოკლა.

— სადაა, სად?

— ღარდაში [9] გადავარდა!

— არა, აქანაია, გვიმბრაში მოვნახოთ.

— ქვეით ჩაგორდა ღარდაში, მე დევინახე, დედა ნუ მომიკტება.

— ძალიანი მვეიცილეთ მაი სულ წაწყმენდილი, ღმერთი ნუ გამიწყრება.

— ოი, ღმერთი გუუწყრეს და დალუპოს მისი სული და ხორცი. — ყველამ მოიყარა ერთად თავი, ახმაურდნენ, ალაპარაკდნენ.

— გვეშველა! — გახარებულნი იძახოდნენ ყველანი.

— ღმერთმა დიდი დღეი მოგცეს, ანთიმოსავ, და გაგაბედნიეროს! — ლოცავდნენ მას ქალები.

მთვარე ეხლა კაშკაშებდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე; გაშუქებული ნამგალი, ირიბათ მიტრიალებული, რგვალი კიდით ეშვებოდა ძირ-ძირს, თითქოს იმიტომ, რომ კიდევ უფრო მეტინათელი მოეფინა მიდამოსათვის და ეჩვენებინა ყველასათვის ეს მხიარული ხალხი. სოფელში ისმოდა გაცხარებული თოფის სროლა და გადაძახილი.

ნინო ნაკაშიძისა.

(დასასრული იქნება)

---

[7] მხარეს.

[8] დედამთილს გურიაში ბატონს ეძახიან.

[8] გორაკი

[9] ხევი.

ფერი ყარანდაშები, გობუს საწერელი და 1 ყუთი კალმები.

21, ნ. ყარბესაშვილმა დივნის ბალიშის პირი.

22, ელისაბედ ფერ. შეჰეისაგან საფერფლე და ვაზა.

23, ალექსი ცერცვაძისაგან 2 წყვილი ტუფლები ბავშვისა.

24 ბარბალე ბაგდან. შიხინოვმა ორი ტუალეტის ვაზა, ქინძისთავების და შპილკების ტუალეტის ვაზა, ხის ვაზა კალმებისთვის, შავი თიხის გედი და 4 ხილის საინი.

25. ქეთო გარაყანიძისაგან პატარა ქალის კაბა.

26, ქეთო ჯავახიშვილისაგან პატარა ქალის კაბა, ირაკლი მეფის სურათი ჩარჩოში.

ფულად:

27, ქეთო ტაცხიშვილისამ 3 მ.

28, თამარა გოგლიჩიძემ 1 მ:

29, დარია ოთარიძისამ 1 მ.

30, ნიკოლოზ ოთარიძემ 1 მ.

31, სამსონ კალაშნიკოვმა 1 მ.

32, იაგორ სულაშვილმა 2 მ.

33, მარიამ ხანქურიძისამ 3 მ.

34, ფ. ფილიშვილმა 50 კ.

35, დიმიტრი გელიაძემ 50 კ.

36, მ. მაქელიშვილმა 50 კ.

37, ბაბალე ჩუტკერაშვილისამ 1 მ.

38, პელაგია სალარიძისამ 1 მ.

39, ბესარიონ ლათიკაშვილმა 1 მ.

40, გ. საძაგლიშვილმა 50 კ.

41, ლიზა მელიქოვმა 1 მ.

42, ვარდ. მაჩაბელმა 40 კ

43, ნინა გვახარიამ 20 კ.

44, ივანე მალიევმა 1 მ.

45, ნინო ცერცვაძემ 1 მ.

46, ვანო საძაგლიშვილმა 1.

47, ს. კასაშვილმა 50 კ.

48, №№ . 50 კ.

49, სოლომან სრესელმა 50 კ.

50, თინათინ ს. ციხისტაშვილმა ორი წერილების პაჰკა და ორი მარმარილოს საფერფლე.

51, ნიკოლოზ ვაყიკაშვილისაგან ათი ბოთლი ღვინო.

52, სოფიო ირაკ ციციშვილისაგან ერთი დიდი სტოლის ლამფა.

53, მინადორა მინ. ერკემლიძისამ ხელოვნური პორტფელი.

54, კნ. ნინო ჯამბაკურ ორბელიანისაგან შეწირული მაცხოვრის ხატი.

55, ბ. მაზელსნმა სხვა-და-სხვა სამკაული ბრელოკები, ბროშკები და ორი ვერცხლის კოვზი.

56, №№ პატარა სარკე და მარაო.

57, №№ ფრაყეს ზედადგარი პაპიროზის საჭრელი.

58, № საჩაიე, ქამარი.

59, ლაიკის ტუფლები.

60, № 16 სხვა-და-სხვა სამღერალი ნოტი.

61, № ექვსი წყვილი ლაიკის ფერჩატკები.

62, ალშვანგმა სამი პერანგი და სამი გალსტუკი.

63, ბ. ვარჩაკოუმა სამი ჯოხი.

64, №№ ორი ვაზა ფარფორი,; ორი შეკრული ფოსტის ქაღალდი-

65, ცეიტლინმა საათი.

66, კახეთის ამხანაგობამ სამი ბაჩონკა ღვინო. ელისაბედ ბაქრაძის მიერ შეკრებილი ტფილისში:

67, ბაღდასარ ივან. ტერპეტროვმა: ნახევარ დიუჟინი ჩითის მოსახვევი.

68, იერემია იაგ. გულაზოვმა: ნახევარ დუჟინი ჩითის ხელსახოცი.

69, მილოვმა ერთი სუფრა.

70, აბრამ ოსეფოვმა ნახევარ დუჟინი ჩითის მოსახვევი.

71, გიორგი ყაგარდუზოვმა საფაროუკე.

72, დავით ივ. ადბაშოვმა ერთი დუჟინი ხელსახოცი.

73, თ. იასონ დავითის ძე ციციშვილმა ერთი ფრაყეს სარძევე, ერთი ფრაყეს საფერფლე და ექვსი ხილის დანა თავის ჩასადგმელით.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

22 მაისი.

ლიბავა. დიდმა მთავარმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ ინახულა ლიბავის სიმაგრე და ალექსანდრე III ნავთ სადგური. საღამოს წაბრძანდა ფსკოვს.

სტამბოლი. ნანჩევიჩს ცოტა ხნით მოლაპარაკება ჰქონდა გეშოვიმთან; წარუდგა ხონთქრის პირველ მდივანს და მთელი საათი ბაასობდა მთავარ ვეზირთან. ხონთქრის ბრძანებით მთავარ ვეზირს უსადილნია ნანჩევისთან ერთად ილზის კიოსკში. ნანჩევიჩს ორშაბათსაც უთათბირია მთავარ ვეზირთან, წარუდგენია პროგრამა, სადაც ჩამოთვლილია ყველა ღონის ძიებანი, რომლებსაც უნდა დაადგენ ორივე სახელმწიფო, რომ ნორმალური ურთიერთობანი აღდგენილ იქმნასო. მთავარ-ვეზირი ამბობს: დათმობაზე ფიქრი ყოვლად შეუძლებელიაო. დაჭერილ მეთაურს კომიტეტისას პასკალ იორგის უნახეს ქაღალდები, საიდანაც სჩანს, ვითომც აქეზებდნენ არა ქრისტიანე მცხოვრებლებსო, კეპრიულში იპოვეს დინამიტი, წონით 10 კილოგრამი და ქაღალდები, საიდანაც სჩანს, რომ უკანასკნელ ამბების ჩამდენი თურმე ყოფილა ეს ქალაქი. ნანჩევიჩი წარუდგა ხონთქარს, შემდეგ სასახლის ეტლით წააბრძანეს ილდიზ-კიოსკში.

ამბობენ რომ სულთანს გადაწყვეტილი აქვს სასტიკს ღონისძიებას თავი დაანებოს და უდანაშაულონი გაანთავისუფლოსო. კომისია, რომელიც შესდგა რუსეთისა და ავსტრიის განკარგულებით სიაფელ სმერდენის დარბევის საქმის გამოსარკვევად, უკვე შეუდგა თავის საქმეს დარბეულ სოფელშივე.

პეკინი. საქმე ისევ ძველებურად, ნორმალურად სწარმოებს. ლინალფი ხელმეორედ წაართვეს ინსურგენტებს.

ვენა. მოვიდა მინისტრი ლიუდსკანოვი.

22 მაისი.

მოსკოვი. მოსკოვში ჩამოვიდნენ პეტერბურგიდან ქ. პარიჟის დეპუტატები, დაათვალიერეს კრემლის სობოროები, სასახლე, ივანე დიდის სამრეკლოზე ავიდნენ და ბელურების მთები დაათვალიერეს. მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირი მართავს მოსკოვში 10 მომხმარებელ ამხანაგობას. ქალაქის ხსნის ქალაქის სკოლეაის ბოწაფეთათვის ამბულატორიებს თვალის, ყურის, ყელის, ცხვირის და კბილების სნეულების სამკურნალოდ.

კრასნოიარსკი. სამეცნიერო და სავაჭრო ექსპედიცია კაპიტანი ,ოპოვისა, 20 კაცი 50 ცხენით გაემგზავრა 21 მაისს კანსკიდან მონგოლიაში.

სტამბოლი. ნაჩევიჩს თანაგრძნობით დაუხვდა ილდიზ კიოსკი და პორტა, მაგრამ ნბჩევიჩის მისსია როგორ სჩანს, ჯერ ჯეროვით არ გადასცილებია აზრთა გაზიარებაა.

ალექსანდროვსკ(ი). 22 მაისს აქ ჩამოვადა ხელმწიფე იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულის ყრუთა და მუნჯთა სამზრუნველო რაზმი, რომელშიაც ითვლება სამხედრო სამედიკო აკადემიის პროფესორი სიმონოვსკი, ორი ასისტენტი და სამი სტუდენტი. აზრადა აქვთ გასინჯონ ერთი ან ორი საზოგადოების ყველა მცხოვრებნი და გამოარკვიონ, თუ რამდენად გავრცელებულია ყურის, ცხვირის და ყელის ავადმყოფობანი, ამავე დროს ექიმები ოაქიმებენ ხსენებულ სენით დაავადმყოფებულთ, გაუკეთებენ ოპერაცვებს. რაზმი იმუშავებს ძაზრის შუაგულში, ისეთ სოფელში, სადაც გამართული იქნება კარგი საავადმყოფო. აქ მიიღებენ ავადმყოფთ და შეუდგებიან სტატისტიკურ მუშაობას. სანამ ხალხი მინდვრათ იმუშავებს, რაზმი გადავა ქალაქში, სადაც მხოლოდ ტერაპევტიულ და ქირურგიულ სამუშაოს შეუდგება.

პარიჟი 23 ივნის ლუბე მიემგზავრება ინგლის, სადაც დაჰყოფს სამს დღეს. საფრანგეთის მისიამ პეკინში მიიღო დეპეშა რომლით ატყობინებენ, რომ ტონკინთან მიმოსვლა დაიწყო მდინარე სოპსკით.

სტამბოლი სერბიის ელჩი გრეიჩი მიდის სტამბოლიდგან მის მაგიერ დაინიშნება ვესნინი. რუსეთის ავსტრია-უნგრეთის მეგოლრულ რჩევის გამო დატუსაღებულ ბოლგარიელთა ანთავისუფლებენ. ოსმალთა ცნობები სამ ვილიაეტში დატუსაღებული ბოლგარელთა რიცხვი ძლივს აღსწევს ათასამდე. ტრიპოლისა და მცირე აგიაში გაგზავნა შეჩერებულია. აქ მხოლოდ იცოდე დატუსაღებული ბოლგარსელი დარჩა.

ნიკოლაევსკი, ზღვის პირას. (დაგვიანებულია) 20 მაისს გემ „მოკდენით“ მოვიდა სსმხედრო მინისტრი. ქალაქის თაემა მიართვა პურ-მარილი, წარუდგნენ მოსამსახურენი, რქროს მძიეაელთა, გლეხთა და ადგილობრივ მკვიდრთა დეპუტაციები. მინისტრი წავიდა სობოროში, ხალხმა „ურას„ ძახილით გააცილა. წირვის შემდეგ მინისტრს მიესლმნენ მოწაფენი სობოროდან გამოსვლის შემდეგ მინისტრმა გამოუცხადა ჯარს მეფის მადლობა ჩინეთში არეულობის დროს შრომისა და სამსახურისათაის გაისმა აღტაცებული „ურა“ ცერემონიალურა მარშის შემდეგ მინისტრმა დაათვალიერა სამხედრო სახლნბი, ქალაქის საქილებო სასწავლებელი. ქალაქის გამგეობა, სამკითხველო, სამხედრო კრებული და საპყრობლე.

პეტერბურგი. ებოძა უმაღლესი რესკრიპტი ქ. გატჩინის ინსტიტუტს ასი წლის არსებობის გამო.—გენ.-ლეიტ. ტალი დაინიშნა 11 კორპუსის უფროსად.

პარიჟი. კომბს შეეკითხნენ ფიშეგში მომხდარ ამბების შესახებ მან უპასუხა, რომ ყაჩაღები სამაგალითოდ იქნებიან დასჯილნი. მთავრობას არა აქვს აზრად დაპყრობა ამ ადგილებისა. ჩვენ უნდა ვიხმაროთ ძალა და ეს ჩვენი მოქმედება სრულიად ეთანხმება მაროკოსთან ხელშეკრულობას, ამიტომ, არც მაროკო, არც ევროპის სახელმწიფოები არ უნდა დააფიქროს ჩვენმა განზრახვებმა.

პეტერბურგის ბირჟა, 20 მაისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,35
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	5—6$^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	98$^{3}/_{4}$ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	100$^{7}/_{8}$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95 [illegible]/8 მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	433$^{1}/_{2}$ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	333 წვ. გ. ყ.
გირ %ავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	286$^{1}/_{2}$ წვ, გაყ
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4$^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	92 გაყ.
4$^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9350 წვ. გაყ.
ქციები ,, " " "	460 წვ. გაყ
,, კასპიის ამხანაგობისა.	3350 გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	383 წვ. გაყ
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	175 გაყ

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/10 დილის 6 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს· 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

ფოთ-აპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

24 მაისისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1. ფედოთ ლაკტიონოვისა და კონსტანტინე ხიზანოვის საქმე.
2. ნიკოლოზ ბარქაიას ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობასა და აზოვის სავაჭრო და ნაოსნობის საქმე.
3. ვლადიმერ ხუნდაძისა და არტემ ოქოევის საქმე.
4. ნიკოლოზ ბრეგაძისა და პავლე ვახიძის საქმე,
5. თ-დ დიმიტრი წერეთელისა და თ-დ კონსტანტინე წერეთელის საქმე.
6. ნარიმან ვარდასანიძისა და ნესტორ და გრიგოლ პანჩულიძეთა საქმე.
7. თ. იასონ ფავლენოვის, ეგნატე ციცა, სოსე და სადო ლამბაშიძეთა და თ-დ კონსტანტინე ხიდირბეგოვის საქმე.
8. ილია სანიძისა და გიორგი აივაზოვის საქმე.

31 მაისს.

1. მამედ ეფენდი მჟავანაძისა და იაკუფ ბარსკის საქმე.
2. იოსებ ზაუტაშვილისა და დიმიტრი ტლაშაძის საქმე.
3. თ-დ მიხეილ ჩოლოყაევისა და ვლადიმერ ჟუკოვსკის საქმე.
4. საქულ ქირუმოვის, სვიმონ ღლიღვაშვილისა და ილია ოტაშვილის საქმე.

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით 1903 წლის 28 მაისს, ნაშუადღევის პირველ საათზე, გამგეობის თანადასწრებით დანიშნულია **მეორე საჯარო ვაჭრობა**, რომლის დროსაც იჯარით გაიცემა ნავთის საწყობისათვის ქალაქის კუთვნილი მიწა ნათლუხის სადგურის მახლობლად.

მსურველთ შეუძლიანთ საქმის პირობების შეტყობა, გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველნი მოვალენი არიან ვაჭრობის დღეს წარმოადგინონ გირაოთ 300 მ განცხადება მსურველთ შეუძლიანთ წარმოადგინონ დაბეჭდილ კონვერტში, საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე. (2—6—1)

ყველას უნდა ედგას სამუშაო სტოლზედ გაღვიებული გაზის ლამპარი

„ს ა ს წ ა უ ლ ი“

დიდი სინათლე აქვს—50—300 სინათისა.

მზესავით ანათებს (ანთაა უშუშოდ).

სინათლის თვისებით ელექტრონს სჯობია.

ყოვლად უშიშარია.

მოვლა სულ უბრალოთ უნდა.

ხარჯი საათში 1 კაპიკზედ მეტი არ მოუნდება.

— **ფასი 8 მანეთი.** —

ისყიდება **კ. ბობილოვთან**, ტფილისი, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სასტუმრო „გრანდ-ოტელის“ გვერდით. (3—1)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავდმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

დაიკარგა

ხუთშაბათს, 22 მაისს დილის 6 საათზედ,

ტირაჟში გამოსული

სახელმწიფო სათავ. აზ. ბანკის მომგებიანი ბილეთი №1083$^{6}/_{9}$.

ვინც იპოვის, ვთხოვთ წარმოადგინოს საპიორის ქუჩაზე, ალექსანდროვის სახლში № 6 ელენე წვერიძესთან და მიიღებს ღირსეულს ჯილდოს. (2—127—2)

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

სიმღერა აკაკისა. ფასი	15 ,,
თამარ მეფის სურათი აკაკის ლექსით	6 ,,
პატარა ჩონგური ლექსი (დედა-ენა).	5 ,,
თამარ მეფე მოთხრობა აკაკისა	5 ,,
ვაჭრული ჭკუა, ლექსი აკაკისა	5 ,,
დათუნა გოცირიძე **როსტომ ერისთავი** — ძველებური ამბავი აკაკისა	5 ,,
აბრამის და იობის ლექსი	3 ,,
ოქრუა (ხალხური ზღაპარი)	5 ,,
ორი ქოსატჟუილა **ბიჭია მენახირე** **მეფე და სკვინჩა** — ხალხური ზღაპარი.	10 ,,

ვინც მოისურვებს ამ წიგნების სყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіавская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

გამოვიდა და ისყიდება

ლ ე დ ი ჯ ე ნ

ჯემსონის მოთხრობა სურათებით

სააღდგომო საჩუქრით

ვარაყიანის ყდით 1 მ.

იყიდება ჯეჯილის რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

ჯეჯილის რედაქციაშივე ისყიდება 1897, 98 და 99 წლების ჯეჯილი თითო წლისა ორ მანათად.

გამოვიდა და იყიდება ყველგან

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნი

ბარტეკ ძლევამოსილი

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად

კაბა-ანაფორა

და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტ ფ ი ლ ი ს შ ი

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, მწამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებლი ნივთეულობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ქირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები —სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხვ.

ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ.

(100—27)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 мая 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе, дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი